გამოგვიგზავნე შენი OGP იდეა და გახდი ცვლილებების ნაწილი

ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფუნდამენტური პრინციპები – მთავრობათა ღიაობა, გამჭვირვალობა, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა საქართველოს მთავრობის სტრატეგიული მნიშვნელობის ღირებულებებია.

ღია მმართველობის გაუმჯობესების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით, **ღია მმართველობა საქართველოს სამდივნო** (საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, საჯარო მმართველობის სამმართველო) მოქალაქეებს შესაძლებლობას აძლევს წარადგინონ იდეები და წვლილი შეიტანონ საქართველოში ღია, ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე, მოქალაქეთა საჭიროებებზე ორიენტირებული და მონაწილეობის პრინციპზე დაფუძნებული მმართველობის განვითარებაში.

იდეის გაგზავნა

იდეის წარდგენა შესაძლებელია ღია მმართველობა საქართველოს ვებგვერდის შესაბამის განყოფილებაში სარეგისტრაციო ფორმის შევსებით.

იდეის გამოსაგზავნად საჭირო არ არის ვებგვერდზე რეგისტრაცია/ავტორიზაცია. სარეგისტრაციო ფორმა მოითხოვს პირადი მონაცემების (სახელი და გვარი), ელექტრონული ფოსტის, საკონტაქტო ტელეფონის ნომრის მითითებასა და იდეის მოკლე აღწერას. გარდა ამისა, დამატებით შეგიძლიათ ატვირთოთ ფაილი, რომელიც OGP საქართველოს სამდივნოს თქვენი იდეის უკეთ გაცნობაში დაეხმარება.

როგორი სახის იდეის გაგზავნაა შესაძლებელი

წარმოდგენილი იდეა შინაარსობრივად უნდა პასუხობდეს ღია მმართველობის სულ მცირე ერთ პრინციპს: **გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, ჩართულობა, სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობა,** ან/და **ტექნოლოგია და ინოვაცია.** ამასთან, აუცილებელია იდეა ნათლად პასუხობდეს სარეგისტრაციო ფორმის მოთხოვნებს და კონკრეტულად აღწერდეს იდეის მიზანს, პრობლემის არსსა და შემოთავაზებულ გადაჭრის გზებს.

იდეის განხილვა

ღია მმართველობა საქართველოს სამდივნო ყოველი კვარტლის ბოლოს განიხილავს წარდგენილ იდეებს და შემდეგი კვარტლის ბოლომდე გაცნობებთ პოზიციას შემოთავაზებულ იდეასთან დაკავშირებით თქვენ მიერ მითითებულ ელ. ფოსტის მისამართზე.